ზეზვა ლიპარტელიანი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის დოქტორანტი

რა უნდა ვიცოდეთ ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის დეპარტამენტისა და შეიარაღებული ძალების შესახებ

შესავალი

აშშ-ის შეიარაღებული ძალები დღეს მსოფლიოში საუკეთესო სამხედრო ძალას წარმოადგენს. ღია მონაცემებზე დაყრდნობით, აშშ-ს მსოფლიოს ყველა კონტინენტზე, 49 ქვეყანაში მინიმუმ 128 სამხედრო ბაზა აქვს განთავსებული [1]. შეერთებული შტატები ერთადერთი დემოკრატიული ქვეყანაა მსოფლიოში, რომელსაც მსოფლიო გეოგრაფიულ/საბრძოლო სარდლობებად აქვს დაყოფილი. თითოეულ გეოგრაფიულ სარდლობას განსაზღვრული აქვს თავისი პასუხისმგებლობის არეალი და ის კონკრეტულ გეოგრაფიულ სარდლობაში განლაგებულ რამდენიმე ქვეყანას მოიცავს. ქვემოთ მოკლედ შევეხები თითოეულ გეოგრაფიულ სარდლობას და განსაკუთრებით გამოვყოფ ევროპის სარდლობას, რომლის პასუხისმგებლობის არეალში შედის საქართველო.

აშშ-ის შეიარაღებულ ძალებს მართავს თავდაცვის დეპარტამენტის (DOD – Department of Defense), რომელსაც თავდაცვის მდივანი (სამოქალაქო პირი) ხელმძღვანელობს. მას თანამდებობაზე ნიშნავს შეერთებული შტატების პრეზიდენტი, რომელიც შეიარაღბული ძალების მთავარსარდალს წარმოადგენს. თავდაცვის მდივნის დაქვემდებარებაშია სამი სამხედრო დეპარტამენტი: არმიის (იგივე სახმელეთო ძალები), საზღვაო ძალებისა და საჰაერო ძალების დეპარტამენტები. მათ, ისევე როგორც თავდაცვის დეპარტამენტს, სამოქალაქო პირები ხელმძღვანელობენ. ისინი

პროფესიულ წრეებში „სახეობების მდივნებად“ არიან ცნობილი. სახეობის მდივანს ნიშნავს პრეზიდენტი.

აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტი პერიოდულად თავდაცვის დეპარტამენტის სტრატეგიას აქვეყნებს. ამ ეტაპზე (2025 წლის აპრილი) დეპარტამენტი ხელმძღვანელობს „თავდაცვის დეპარტამენტის სტრატეგია 2022“-ის დოკუმენტით, რომელიც ჩინეთის წინააღმდეგ აშშ-ის შეკავების შესაძლებლობების შენარჩუნებაზე, საბრძოლო შესაძლებლობების გაძლიერების აუცილებლობასა და მოკავშირეებსა და პარტნიორებთან შეერთებული შტატების მზარდ თანამშრომლობაზე ამახვილებს ყურადღებას. ასევე, საუბარია რუსეთის მიერ შექმნილ საფრთხეებზე, განსაკუთრებით უკრაინაში რუსეთის შეჭრის გათვალისწინებით. სტრატეგიაში აქცენტი კეთდება ჩრდილოეთ კორეის, ირანისა და ძალადობრივი ექსტრემისტული ორგანიზაციებიდან მომდინარე საფრთხეებზე. თავდაცვის დეპარტამენტის სტრატეგია 2022 ასევე მოიცავს უსაფრთხოების ისეთ გამოწვევებს, როგორიცაა პანდემია და კლიმატის ცვლილება.

თავდაცვის სტრატეგიაში ხაზგასმულია ოთხი უმაღლესი დონის პრიორიტეტი, რომელიც დეპარტამენტმა განსაზღვრულ პერიოდში და განსაზღვრული რესურსებით უნდა განახორციელოს. ესენია [2]:

1. სამშობლოს დაცვა, ჩინეთის მიერ წარმოქმნილი მზარდი მრავალგანზომილებიანი საფრთხეებიდან გამომდინარე;
2. შეერთებული შტატების, მოკავშირეებისა და პარტნიორების წინააღმდეგ მიმართული სტრატეგიული თავდასხმების შეკავება;
3. საჭიროების შემთხვევაში აგრესიის შეკავება და მზადყოფნა კონფლიქტში გამარჯვებისათვის; პრიორიტეტულად რჩება ჩინეთის მიერ წამოყენებული გამოწვევა ინდო-წყნარი ოკეანის რეგიონში და რუსეთის გამოწვევა ევროპაში;
4. მოქნილი ერთობლივი ძალისა და თავდაცვის ეკოსისტემის შექმნა.

თავდაცვის დეპარტამენტის შემადგენლობაში შედის გაერთიანებული ძალების შტაბი, რომელიც შედგება გაერთიანებული დეპარტამენტებისაგან (სულ 9 დეპარტამენტი). თითოეული დეპარტამენტი იმართება სამი ან ორვარსკვლავიანი გენერლის ან ადმირალის მიერ. უშუალოდ გენერალურ შტაბს ხელმძღვანელობს ოთხვარსკვლავიანი გენერალი. გაერთიანებული შტაბის უფროსისთვის სტრატეგიულ სახელმძღვანელოს წარმოადგენს „ეროვნული სამხედრო სტრატეგია", რომელიც განსაზღვრავს გაერთიანებული ძალების პრიორიტეტებს და წარმოადგენს 2022 წლის ეროვნული თავდაცვის სტრატეგიის პრიორიტეტების მიღწევის სახელმძღვანელო დოკუმენტს. მისი მიზანია ამერიკელი ხალხის უსაფრთხოებისა და დემოკრატიული იდეალების დაცვა. ეს სტრატეგია ეხება გაერთიანებული ძალების მიერ მუდმივი მომგებიანი მდგომარეობის მოპოვებასა და შენარჩუნებას, რაც მშვიდობიანობის დროს უპირატესობის შენარჩუნებას და საომარი მოქმედებების დროს გადამწყვეტი გამარჯვების მიღწევას ნიშნავს. გაერთიანებული ძალების შტაბის უფროსი გენერალი მარკ მილი შემდეგ შეფასებას აკეთებს აღნიშნულ სტრატეგიასთან მიმართებაში: „რასაც ჩვენ ვაკეთებთ და გავაკეთებთ მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში იქნება განმსაზღვრელი მომავალ ომში გამარჯვების ან დამარცხების პირობების შექმნის. ჩვენ ახლა უნდა ვადაპტირდეთ, რათა მოვიგოთ შემდეგი ომი და ამით ჩვენ თავიდანვე შევაკავებთ მოსალოდნელ ომს" [3].

აშშ-ის შეიარაღებული ძალები სულ ექვსი გვარეობისაგან შედგება: არმია (სახმელეთო ძალები), საზღვაო ძალები, საზღვაო ქვეითები, საჰაერო ძალები, კოსმოსური ძალები და სანაპირო დაცვა. მოკლედ წარმოგიდგენთ თითოეული ძირითადი გვარეობის დანიშნულებას.

- **არმია:** ახორციელებს ფართომასშტაბიან სახმელეთო ოპერაციებს და პასუხისმგებელია სახმელეთო სამხედრო ოპერაციებზე.
- **საზღვაო ძალები:** უზრუნველყოფს აშშ-ის დომინირებას ოკე-

ანეებზე, ზღვებსა და მდინარეებზე და ახორციელებს რესურსების ტრანსპორტირებას არსებული წყლების გავლით.

- **საჰაერო ძალები:** უზრუნველყოფს ამერიკის დომინირებას საჰაერო სივრცესა და კიბერსივრცეში. მას გააჩნია სამიზნეებზე დარტყმის უნარი მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში; უზრუნველყოფს „ახლო საჰაერო მხარდაჭერას" სახმელეთო ძალებისთვის, რათა განახორციელოს სატრანსპორტო პერსონალისა და აღჭურვილობის მიწოდება მთელ მსოფლიოში.
- **საზღვაო ქვეითთა კორპუსი:** წარმოადგენს საექსპედიციო ძალებს „საექსპედიციო მზადყოფნისთვის", რომელიც მზად არის მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში მაქსიმუმი 5 დღის განმავლობაში პლაცდარმის დაკავებისა და აშშ-ის ძირითადი ძალებისთვის გადასროლისწინა პირობების შექმნისთვის. საზღვაო ქვეითები არიან პირველი საბრძოლო შენაერთები, რომლებიც ნებისმიერ საბრძოლო ოპერაციაში პირველები შედიან და ოპერაციის ბოლოს გამოდიან.
- **კოსმოსური ძალები:** უზრუნველყოფს პირადი შემადგენლობის ორგანიზებას, მომზადებას და აღჭურვას გლობალური კოსმოსური ოპერაციების ჩასატარებლად.
- **სანაპირო დაცვა:** წარმოადგენს როგორც სამხედრო, ასევე სამართალდამცავი, ამოცანების მქონე ორგანიზაციას. მშვიდობიანობის დროს ის არის შიდა უსაფრთხოების დეპარტამენტის განკარგულებაში, ხოლო საომარი მოქმედებების დროს ის საზღვაო ძალების დეპარტამენტის დაქვემდებარებაში გადადის.

რაც შეეხება ეროვნულ გვარდიას, ის წარმოადგენს აშშ-ის შეიარაღებული ძალების ერთ-ერთ კომპონენტს, მაგრამ არა – გვარეობას, რომელიც ფუნქციონირებს ზემოთ ჩამოთვლილი ორი მთავარი გვარეობის არმიისა და საჰაერო ძალების სარეზერვო კომპონენტის ფარგლებში. არმიის ეროვნული გვარდია არმიის შემადგენელი ორგანული ნაწილია, ხოლო საჰაერო ეროვნული გვარდია – საჰაერო ძალების შემადგენელი ორგანული ნაწილი. ეროვნუ-

ლი გვარდია შეიარაღებული ძალების უნიკალური კომპონენტია იმ მხრივ, რომ მას აქვს ორი ძირითადი როლი: 1. სახელმწიფო (ტერიტორიული) როლი: თითოეულ შტატს, ტერიტორიას და კოლუმბიის ოლქს, ჰყავს საკუთარი ეროვნული გვარდია, რომელიც შეიძლება მობილიზებული იყოს შტატის გუბერნატორის მიერ ადგილობრივ საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებისათვის, მაგალითად, ბუნებრივი კატასტროფებისა და სამოქალაქო არეულობების დროს. 2. ფედერალური როლი – ეროვნული საგანგებო სიტუაციების ან სამხედრო საჭიროების დროს აშშ-ს პრეზიდენტს შეუძლია ეროვნული გვარდიის გააქტიურება და გამოყენება როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე, საზღვარგარეთ აშშ-ის სამხედრო მისიების მხარდასაჭერად.

თავდაცვის დეპარტამენტის ისტორიიდან სამ მნიშვნელოვან თარიღს გამოვყოფ:

1. 1947 წლის თავდაცვის დეპარტამენტის შექმნამდე შეერთებულ შტატებს გააჩნდა ორი სამხედრო დეპარტამენტი: ომის დეპარტამენტი, რომელიც 1789 წელს შეიქმნა და რომელშიც აშშ-ის არმია (სახმელეთო ძალები) შედიოდა და საზღვაო ძალების დეპარტამენტი რომელიც 1798 წელს დაარსდა. თითოეული დეპარტამენტი დამოუკიდებლად მოქმედებდა და ზედამხედველობას უწევდა მის დაქვემდებარებაში მყოფ სამხედრო ძალებს.
2. მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდი (1947-1949); 1947 წელს ეროვნული უსაფრთხოების აქტის (P.L. 80- 253) [4, 7] საფუძველზე ჩამოყალიბდა ეროვნული სამხედრო დაწესებულება, რომელსაც ხელმძღვანელობდა ახლადშექმნილი თავდაცვის მდივანი. ის მეთვალყურეობდა შეიარაღებულ ძალებს. ხოლო მოგვიანებით 1949 წლის 10 აგვისტოს, ეროვნული უსაფრთხოების აქტში ცვლილებები შევიდა და ეროვნულ სამხედრო დაწესებულებას თავდაცვის დეპარტამენტი ეწოდა. ცვლილების შედეგად გაუქმდა არმიის, საზღვაო ძალების და საჰაერო ძალების მდივნების დამოუკიდებელი კაბინეტის სტატუსები და ისინი დაექვემდებარა თავდაცვის

მდივანს, შესაბამისად თავდაცვის მდივნის უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა გაიზარდა. ამავე ცვლილებით დადგინდა გაერთიანებული შტაბების შტაბის უფროსის თანამდებობაც. ამ აქტის მიხედვით, მანამდე მოქმედი ომისა და საზღვაო დეპარტამენტების შერწყმის შედეგად შეერთებული შტატების თავდაცვის დეპარტამენტი შეიქმნა, რომელიც დღემდე ინარჩუნებს ლიდერობას მისი პირადი შემადგენლობის მაღალი მომზადების დონით, აღჭურვილობით, ტექნოლოგიური შესაძლებლობებითა და ამერიკის ეროვნული ინტერესების შესაბამისად, მსოფლიო დაფარვით.

3. კონგრესის მიერ მიღებული 1989 წლის „გოლდოვოთერ ნოკოლსის აქტი". ეს მნიშვნელოვანი რეფორმა მიზნად ისახავდა თავდაცვის დეპარტამენტის რეორგანიზებას, სამხედრო სარდლობების ეფექტურობისა და ერთობლივი ოპერატიული შესაძლებლობების გაუმჯობესებას. ამ აქტმა საფუძველი ჩაუყარა აშშ-ს შეიარაღებული ძალების მუდმივ რეფორმირებასა და მოდერნიზაციას [6].

მეორე მსოფლიო ომის შედეგების ანალიზის საფუძველზე, აშშ-ის პრეზიდენტმა ტრუმენმა დაასკვნა, რომ აშშ-ის შეიარაღებული ძალების სხვადასხვა კომპონენტი ომის დროს ერთობლივი ოპერაციების ეფექტურად წარმოებისთვის არასაკმარისად იყო ინტეგრირებული და ზოგ შემთხვევაში ერთმანეთს ხელსაც უშლიდნენ. კონგრესი მხარს უჭერდა შეიარაღებული ძალების მართვა განხორციელებულიყო თავდაცვის დეპარტამენტის ერთიანი ხელმძღვანელობით, უფლებამოსილებითა და პასუხისმგებლობით. ამ მიზნით უნდა დანიშნულიყო თავდაცვის მდივანი, რომელიც განახორციელებდა შეიარაღებული ძალების ეფექტურ კონტროლსა და ეკონომიურ მართვას და სამომავლოდ უზრუნველყოფდა სახეობების ერთიან სტრატეგიულ მიმართულებად და ერთიან საბრძოლო ძალად ჩამოყალიბებას.

დროთა განმავლობაში თავდაცვის დეპარტამენტი გახდა ერთ-ერთი ყველაზე დიდი ბიუროკრატიული ინსტიტუტი მსოფლიოში, რომელიც 2,8 მილიონ სამხედრო მოსამსახურესა და სამოქალა-

ქო პერსონალს აერთიანებს. აშშ-ის კონგრესი კონსტიტუციით მინიჭებული საზედამხედველო უფლებამოსილების ფარგლებში აკანონებს როგორც ავტორიზაციის, ასევე, ასიგნებების კანონ-პროექტს და ახორციელებს თავდაცვის დეპარტამენტის ზედამ-ხედველობას წლიური ბიუჯეტების განხილვისა და კონგრესში არსებული კომიტეტების საშუალებით (წლიურად დაგეგმილი მოსმენების ფორმატების გამოყენებით). მეორეს მხრივ, სენა-ტი ამტკიცებს თავდაცვის დეპარტამენტისა და შეიარაღებული ძალების მაღალი რანგის სამხედრო ოფიცრებს კონკრეტულად განსაზღვრული მაღალი საპასუხისმგებლო მნიშვნელობის თანამ-დებობებზე, როგორც სამხედრო ოფიცრებს, ასევე სამოქალაქო თანამდებობის პირებს, მათ შორის, თავდაცვის მდივანს, მდივნის მოადგილესა და გაერთიანებული შტაბის უფროსს და სხვა. ამ-გვარად უზრუნველყოფილია უფლებამოსილებების გამიჯვნა და აღმასრულებელ რგოლზე, კერძოდ, თავდაცვის დეპარტამენტზე საკანონმდებლო კონტროლი.

გაერთიანებული საბრძოლო სარდლობები

აშშ თავდაცვის დეპარტამენტი, გაერთიანებული საბრძოლო სარდლობების (COCOMs) მეშვეობით გლობალური დონის ოპერ-აციებს ახორციელებს. ეს სარდლობები დაყოფილია ორ კატეგო-რიად: გეოგრაფიული/საბრძოლო და ფუნქციური მნიშვნელობის სარდლობებად.

შეერთებულ შტატებს დღეს გეორგაფიულ რეგიონზე მორგებუ-ლი შვიდი საბრძოლო სარდლობა გააჩნია. ესენია:

- აშშ-ის აფრიკის სარდლობა (AFRICOM) პასუხისმგებელია სუბ-საჰარის[1] აფრიკის ტერიტორიებზე.
- აშშ-ის ევროპული სარდლობა (EUCOM) პასუხისმგებელია რო-გორც ევროპისა და ცენტრალური აზიის დიდი ნაწილის, ასევე, ახლო აღმოსავლეთის, არქტიკისა და ატლანტიკის ოკეანეების გარკვეულ ტერიტორიაზე.

1. აფრიკის კონტინენტის საჰარის უდაბნოს სამხრეთით მდებარე ტერიტორია.

- აშშ-ის ცენტრალური სარდლობა (CENTCOM) პასუხისმგებელია ახლო აღმოსავლეთის უმეტეს ნაწილზე, ჩრდილოეთ აფრიკის, დასავლეთ აზიისა და ინდოეთის ოკეანის ტერიტორიებზე.
- აშშ-ის ჩრდილოეთ სარდლობა (NORTHCOM) პასუხისმგებელია კონტინენტური შეერთებული შტატების დაცვაზე, კანადასა და მექსიკის სახელმწიფოებთან უსაფრთხოებისა და სამხედრო ურთიერთობების კოორდინაციაზე.
- აშშ-ის სამხრეთ სარდლობა (SOUTHCOM) პასუხისმგებელია ცენტრალური ამერიკის, სამხრეთ ამერიკისა და კარიბის ზღვის აუზის ტერიტორიებზე.
- აშშ-ის ინდო-წყნარი ოკეანის სარდლობა (INDOPACOM) პასუხისმგებელია წყნარ ოკეანეში, სამხრეთ-დასავლეთ აზიის, ავსტრალიის, სამხრეთ აზიისა და ინდოეთის ოკეანის ნაწილზე, ასევე, ჩრდილოეთ ამერიკის სარდლობასთან ერთად იღებს პასუხისმგებლობას ალასკაზე.
- აშშ-ის კოსმოსური სარდლობა (SPACECOM) აერთიანებს გაერთიანებული სარდლობების ძალებს და ახდენს მათ ინტეგრირებას მრავალგანზომილებიანი გლობალური ოპერაციების საწარმოებლად.

რაც შეეხება ფუნქციური დანიშნულების სარდლობებს, ასეთი სულ 4 სარდლობაა:

1. აშშ-ის სტრატეგიული სარდლობა (STRATCOM) პასუხისმგებელია შეერთებულ შტატებსა და მის მოკავშირეებზე თავდასხმების შესაჩერებლად და საფრთხის შემთხვევაში ხელმძღვანელობს, გეგმავს და მართავს აშშ-ის სტრატეგიულ ძალებს.
2. აშშ-ის სპეციალური ოპერაციების სარდლობა (SOCOM) პასუხისმგებელია სპეციალური ოპერაციული ძალების მიერ გლობალურ დონეზე სპეცოპერაციების ჩატარებასა და ერთობლივი ძალების მხარდაჭერის მიზნით, შესაბამისი აქტივობების განხორციელებაზე.
3. აშშ-ის სატრანსპორტო სარდლობა (TRANSCOM) პასუხის-

მგებელია საჭიროების შემთხვევაში თავდაცვის დეპარტამენტში შემავალი შესაბამისი კომპონენტისთვის საჰაერო, სახმელეთო და საზღვაო სატრანსპორტო მარშრუტებისა და შესაბამისი სერვისების უზრუნველყოფაზე.

4. აშშ-ის კიბერსარდლობა (CYBERCOM) პასუხისმგებელია კიბერსივრცის ხელმძღვანელობაზე, სინქრონიზაციასა და კოორდინაციაზე, შესაბამისი ოპერაციების დაგეგმვასა და განხორციელებაზე და შიდა და საერთაშორისო პარტნიორების მხარდაჭერასა და გაძლიერებაზე.

სარდლობების სამეთაურო ჯაჭვი ვერტიკალში

აშშ-ის კოდექსი 10 U.S.C. §162 [5] განსაზღვრავს, იერარქიულ სამეთაურო დაქვემდებარების ჯაჭვს ერთობლივი სამხედრო ოპერაციების საწარმოებლად. ერთობლივი ოპერაციების შესახებ ბრძანება გამოიცემა პრეზიდენტის მიერ და შემდეგ ის მიეწოდება თავდაცვის მდივანს. შესაბამისად, ეს უკანასკნელი კონკრეტულ დავალებას განუსაზღვრავს საბრძოლო და ფუნქციურ სარდლობებს (სულ 11 სარდლობა). გაერთიანებული შტაბების (შტაბის) უფროსი მოქმედებს, როგორც შუამავალი თავდაცვის მდივანსა და საბრძოლო სარდლობებს შორის. ყოველი საბრძოლო თუ ფუნქციური სარდლობის მეთაური არის ოთხვარსკვლავიანი გენერალი. აღნიშნულ თანამდებობებზე მათი დანიშვნა ხდება სენატის დადასტურების შემდეგ პრეზიდენტის ბრძანებით.

შეიარაღებული ძალების სახეობები

თითოეული სახეობის დეპარტამენტის შემადგენლობაში მინიმუმ ერთ შეიარაღებული ძალების სახეობა შედის. მაგალითად, საზღვაო ძალების დეპარტამენტის დაქვემდებარებაში შედის საზღვაო ძალები, საზღვაო ქვეითი ძალები. საომარი მდგომარეობის დროს, სწორედ საზღვაო ქვეითი ძალების ოპერატიულ დაქვემდებარებაში გადადის სანაპირო დაცვა.

საზღვაო ქვეითი ძალები საზღვაო ძალების დეპარტამენტის მხოლოდ ადმინისტრაციულ დაქვემდებარებაში არიან, ოპერატი-

ულ მართვას ისინი დამოუკიდებლად ახორციელებენ. მათ საზღვაო ქვეითების კომენდატი მართავს.

საჰაერო ძალების დეპარტამენტის დაქვემდებარებაში შედის საჰაერო ძალები და კოსმოსური ძალები.

თითოეულ სახეობის დეპარტამენტი სამოქალაქო ადმინისტრაციისა და სამხედრო შტაბისაგან შედგება და სამოქალაქო პირი ხელმძღვანელობს. თანამდებობრივად მას „დეპარტამენტის მდივანი" ეწოდება. მაგალითად, საზღვაო ძალების დეპარტამენტის მდივანი და ა. შ. კანონით დადგენილი წესის შესაბამისად, სახეობის დეპარტამენტის მდივანი განსაზღვრავს პერსონალის შემადგენლობას, მოვალეობებსა და წოდებებს. დეპარტამენტის მდივანი ადმინისტრაციულ და ინსტიტუციურ მხარდაჭერას დეპარტამენტში შემავალი სამოქალაქო ოფისების საშუალებით ახორციელებს. რაც შეეხება, ამავე დეპარტამენტებში შემავალი სამხედრო ძალების ინსტიტუციურ და ოპერატიულ მხარდაჭერას, მას ახორციელებს სახეობების სამხედრო შტაბები სახეობის შტაბის უფროსის ხელმძღვანელობით. თითოეული სახეობის შტაბის უფროსის თანამდებობაზე პრეზიდენტის ბრძანებით ინიშნება ოთხვარსკვლავიანი გენერალი ან ადმირალი ოთხი წლის განმავლობაში სენატის თანხმობისა და რჩევის გათვალისწინებით. სახეობის შტაბის უფროსი პასუხისმგებელია აღნიშნული სახეობის დეპარტამენტის მდივნის წინაშე და პასუხისმგებელია სახეობის საქმიანობაზე, პერსონალსა და ოპერაციებზე. სამხედრო დეპარტამენტების სახეობების შტაბის უფროსები, ამავე დროს, თავდაცვის დეპარტამენტის გაერთიანებული შტაბის წევრები არიან და გაერთიანებული შტაბის უფროსის მიერ იმართებიან.

შეიარაღებული ძალებში შემავალი თითოეული სახეობა როგორც აქტიური, ასევე, სარეზერვო ძალებისაგან შედგება. არმიის შემადგენლობაში შედის: რეგულარული მოქმედი ძალები, არმიის რეზერვი და არმიის ეროვნული გვარდია.

საზღვაო ფლოტი შედგება რეგულარული საზღვაო ძალებისგან, საზღვაო ძალების რეზერვისაგან და ფლოტის რეზერვისაგან.

საზღვაო ქვეითთა კორპუსი შედგება რეგულარული საზღვაო ძალებისაგან, საზღვაო ქვეითი რეზერვისა და ფლოტის საზღვაო ქვეითი ძალების რეზერვისაგან.

საჰაერო ძალები შედგება რეგულარული საჰაერო ძალებისგან, საჰაერო ძალების რეზერვისა და შეერთებული შტატების საჰაერო ეროვნული გვარდიისაგან.

კოსმოსური ძალები შედგება რეგულარული კოსმოსურ ძალებისაგან.

შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალები ერთი შეხედვით რთულ სტრუქტურას წარმოადგენს, თუმცა, მკაცრად გაწერილი და ურთიერთ-თავსებადი მართვისა და კონტროლის მექანიზმებით და მუდმივი რეაგირებისა და ცვლილებების შედეგად, მან 80 წლის მანძილზე მსოფლიოში უპირატესობის შენარჩუნება შეძლო.

აშშ-ის შეიარაღებული ძალების ძირითადი სახეობებიდან არმია (სახმელეთო ძალები) ძირითად საბრძოლო ძალას წარმოადგენს და მოკლედ მინდა შევეხო მას. ის არის შეერთებული შტატების მთავარი სამხედრო ძალა სახმელეთო ომის საწარმოებლად. მიუხედავად იმისა, რომ მას შეუძლია ყველა სახის ოპერაციის განხორციელება როგორც სამხედრო ოპერაციების სპექტრში, ასევე, სამოქალაქო ხელისუფლების მხარდაჭერის მიმართულებით, მისი მთავარი ღირებულებაა უნარი ნებისმიერ ბრძოლაში დაამარცხოს და გაანადგუროს მტრის სახმელეთო ძალები.

2023 წლის 19 აპრილის მდგომარეობით, არმიას თავის განკარგულებაში 140-ზე მეტ ქვეყანაში 137 000 ჯარისკაცი ჰყავდა, რომლებიც ამერიკის უსაფრთხოების ინტერესებს ემსახურებოდნენ. რაც მთავარია, აშშ-მა მნიშვნელოვანი ძალები განათავსა ნატოს ქვეყნებში, რაც მისი მხრიდან რუსეთის შემდგომი აგრესიის შემაკავებელ ფაქტორად განიხილება. 2023 წლის 2 მაისის მდგომარეობით, 43 000 ჯარისკაცი განლაგებული იყო ევროპაში, რაც, თავის მხრივ, აძლიერებდა ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსს და ხაზს უსვამდა აშშ-ის ერთგულებას რეგიონის მიმართ [7].

აშშ-ს ევროპის სარდლობა

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა, შეერთებული შტატების ევროპის სარდლობა, რომელიც 1952 წელს დაარსდა. სარდლობის შტაბი განლაგებულია გერმანიის ქალაქ შტუტგარტში. ევროპის სარდლობის მეთაური (ოთხვარსკვლავიანი გენერალი) ამავე დროს ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის (ნატო) ევროპის მოკავშირეთა ძალების უმაღლესი სარდალიც (SACEUR) გახლავთ.

აშშ-ისა და მოკავშირე ქვეყნების თავდაცვისა და ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, ცივი ომის დროს ევროპული თეატრში ძირითადი აქცენტი საბჭოთა კავშირისა და ვარშავის პაქტით გათვალისწინებული ჯარების შეკავებასა და აუცილებლობის შემთხვევაში მათ დამარცხებაზე კეთდებოდა. სწორედ აქედან გამომდინარე შეიქმნა აშშ-ის ევროპის სარდლობა, რომელიც ცივი ომის მიმდინარეობისა და მისი დასრულების შემდეგ აშშ-ის ეროვნულ ინტერესებთან სრულ თანხვედრაში იყო.

მეოცე საუკუნის დასასრულიდან ორი ათწლეულის მანძილზე ევროპის სარდლობის ძირითად საქმიანობას არასაომარი მისიების მხარდაჭერა წარმოადგენდა, მათ შორის, რეგიონში უსაფრთხოების გაძლიერება, ყოფილ საბჭოთა ბლოკის ტერიტორიაზე აღმოცენებული დამოუკიდებელი სახელმწიფოების შესაძლებლობების განვითარება, ევროპის კონტინენტზე კრიზისის მართვის ოპერაციებისა და სხვა ლოგისტიკური მხარდაჭერის უზრუნველყოფა. მაგალითად, კრიტიკულად დაშავებულთათვის სამედიცინო ევაკუაციის უზრუნველყოფა, რომელიც ხორციელდება გერმანიის ქ. ლენდშტულში განლაგებული აშშ-ის სამხედრო ჰოსპიტლის ბაზაზე. ინფორმაციისათვის, აღნიშნული სერვისებით, ასევე, სარგებლობდა საქართველოს თავდაცვის ძალების ის შემადგენლობა, ვინც ერაყისა და ავღანეთის სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობის დროს სიცოცხლისთვის საფრთხის შემცველი დაზიანებები მიიღო.

აღსანიშნავია, რომ ბოლო 25 წლის განმავლობაში ევროპულ თეატრში აშშ სამხედრო საექსპედიციო ბაზებთან დაკავშირებით შეერთებული შტატების მხრიდან მიღებული გადაწყვეტილებები საექსპედიციო და კოოპერატიული უსაფრთხოების ოპერაციების მხარდაჭერასთან იყო დაკავშირებული. შესაბამისად, აშშ-ის ძირითადი ძალები ევროპიდან გაყვანილ იქნა და მრავალი სამხედრო დანიშნულების ბაზისა და ფორტპოსტის დახურვა განხორციელდა. დღეს შეერთებულ შტატებს ევროპულ თეატრში მხოლოდ ორი ბრიგადის საბრძოლო გუნდი (BCT) ჰყავს დისლოცირებული (იტალიასა და გერმანიაში). ამავე პერიოდში დაიხურა რამდენიმე საზღვაო ბაზა ნატოს სამხრეთით და რამდენიმე საჰაერო ძალების ბაზა, რომლებიც კრიტიკულად მნიშვნელოვანი იყო ახლო აღმოსავლეთში, აფრიკასა და ევროპაში განხორციელებული ოპერაციების მხარდასაჭერად. 2025 წლისთვის შეერთებული შტატებს ევროპაში განლაგებული ჰყავს ორი ძირითადი ტიპის ძალა ბაზებზე განლაგებული მუდმივი სამხედრო კონტინგენტით (მათი ბაზებზე ყოფნის ხანგძლივობაა 3-დან 5 წლამდე) და დროებითი როტაციის წესით განსაზღვრული ქვედანაყოფები. აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტმა 2020 წლის 11 თებერვალს გააააქტიურა მისი არმიის V-ე კორპუსი და ამავე კორპუსის შტაბის მუდმივი დისლოკაციის ადგილად განისაზღვრა პოლონეთი. აღნიშნულ შტაბს ევროპის მასშტაბით საგანგებო და საომარი მდგომარეობის დროს, როგორც აშშ-ის, ასევე მოკავშირეების, ოპერატიული ძალების მართვა და კონტროლი დაევალა.

აშშ-ის ევროპის სარდლობა ხელმძღვანელობს სტრატეგიული დოკუმენტით, რომელსაც აშშ-ის ევროპის სარდლობის სტრატეგია ჰქვია. აღნიშნული სტრატეგიის თანახმად, ევროპის სარდლობისთვის ოთხი მთავარი პრიორიტეტია განსაზღვრული, რის მიხედვითაც ევროპის სარდლობის ძირითადი ოპერაციები წარიმართება. ესენია:

- მზადყოფნაში მყოფი დისლოცირებული ძალების უზრუნველყოფა, რუსეთის შეკავება; ნატოს მხარდაჭერა, ისრაელის დახმარება; ტრანსნაციონალური საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლა და სხვა გლობალურ ოპერაციებში ჩართვა.

- სტრატეგიული პარტნიორობის გაძლიერება და პარტნიორის შესაძლებლობების, უნარებისა და ურთიერთთანამშრომლობის განვითარება;
- რთულ და დინამიურ სტრატეგიულ გარემოსთან ადაპტაცია;
- მდგრადი პოზიტიური გარემოსა და პირობების შექმნა პირადი შემადგენლობისთვის, თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო და სამხედრო პერსონალსა და მათ ოჯახებზე ზრუნვა.

დასკვნა

აშშ-ასა და საქართველოს შორის უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობა 30 წელს მოიცავს. შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის ჩამოყალიბდა ძლიერი და ორმხრივი სტრატეგიული სამხედრო ურთიერთობა, რომელიც ძირითადად გამოხატულია საქართველოს თავდაცვის ძალებსა და აშშ-ის ევროპის სარდლობას/USEUCOM-ს შორის ძლიერი პარტნიორობით და ორიენტირებულია ოპერატიული მზადყოფნის ჩამოყალიბებასა და თავდაცვისუნარიანობის ამაღლებაზე.

აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტისა და შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობა საკმაოდ კარგად აანალიზებს მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს და მუდმივად ახორციელებს აშშ-ის თავდაცვისა და საექსპედიციო შესაძლებლობების მოდენიზაციასა და შენარჩუნებას. მათ მთავარ პრიორიტეტად რჩება გლობალური უპირატესობის შენარჩუნება და ამ მიზნით შესაბამისი მოქმედებების განხორციელება. მათ კარგად აქვთ გააზრებული თითოეული გეოგრაფიული სარდლობის მნიშვნელობა და როლი მსოფლიოს სხვადასხვა კონტინენტზე კრიზისების პრევენციის თვალსაზრისით და ის, რომ ეს საფრთხეები საკმაოდ განსხვავდება ერთმანეთისაგან თავისი მიზნებითა და მასშტაბებით. მაგალითად, კონტინენტური რუსული საფრთხისთვის მომზადება ევროპაში ნიშნავს პოტენციურად არასწორ მომზადებას ინდო-წყნარი ოკეანის რეგიონში ჩინეთის მხრიდან მომავალი საფრთხეების გასამკლავებლად. ჩი-

ნეთ-ტაივანური კონფლიქტის შემთხვევაში მისი ბუნება საკმაოდ განსხვავებული იქნება რუსეთ-უკრაინის ომის ბუნებისგან, რადგან ევროპის კონტინენტზე ნატომ უნდა გადაწყვიტოს თუ როგორ გაუმკლავდეს არსებულ გამოწვევებს, მათი წარმოქმნის შემთხვევაში. ამერიკისთვის, ასევე, საფრთხეს წარმოადგენს საერთაშორისო ტერორიზმი და ირანის მარიონეტული ომები ახლო აღმოსავლეთში.

ზოგადად, შეიარაღებული კონფლიქტის მომავალი დღეს იმდენად გაურკვეველია, როგორც – არასდროს. აშშ-ის შეიარაღებულ ძალებს კარგად აქვს გააზრებული მოსალოდნელი საფრთხეები და შესაბამისად აგრძელებს როგორც საკუთარი შესაძლებლობების, ასევე, მოკავშირე და პარტნიორი ქვეყნების დახმარებასა და საკუთარი სამხედრო ძალების მოდერნიზებას თანამედროვე რეალობისა და საფრთხეების გასამკლავებლად. მსოფლიოში ყველაზე ძლიერი სახელმწიფო და მისი შეიარაღებული ძალები მუდმივად აფასებს როგორც კონტინენტზე, ასევე, მის ფარგლებს გარეთ შეერთებული შტატების მიმართ არსებულ საფრთხეებს, ადგენს პრიორიტეტებსა და შესაბამის ძალთა ბალანსს. დღეს მსოფლიო წესრიგი დიდ რყევებს განიცდის და მოსალოდნელია, როგორც აშშ-ის თავდაცვის და უსაფრთხოების სტრატეგიების, ასევე, მისი რისკების შეფასების ახალი დოკუმენტების შემუშავება. შესაბამისად, შესაძლებელია ცვლილებები განიცადოს მისმა სტრატეგიული და ფუნქციური სარდლობების ხასიათმა, სტრუქტურამ და ძალთა განლაგებამ. თუმცა, მისი პროფესიული სამხედრო შემადგენლობის, თანამედროვე აღჭურვისა და ტექნოლოგიების წყალობით, ისევე როგორც გასულ საუკუნეში, მომავალ ათწლეულებშიც აშშ -ის შეიარაღებული ძალები მზად იქნება სათანადოდ დაიცვას თავისი სტრატეგიული პრიორიტეტები და წინ აღუდგეს მისი უსაფრთხოების გამოწვევებს.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. Pallavi Rao, Visual Capitalist. Mapped: Every Known U.S. Military Base Overseas, February18, 2025. https://www.visualcapitalist.com/mapped-every-known-u-s-military-base-overseas/
2. C.Todd Lopez, U.S. Department of Defense, DOD Releases National Defense Strategy, Missile Defense, Nuclear Posture Reviews October 27, 2022 https://www.defense.gov/News/News-Stories/Article/article/3202438/dod-releases-national-defense-strategy-missile-defense-nuclear-posture-reviews/
3. The Chairman of the Joint Chiefs of Staff's (CJCS) National Military Strategy 2022 https://www.jcs.mil/Portals/36/NMS%202022%20_%20Signed.pdf
4. Public Law 80-253, Secretary of Defense https://nsarchive.gwu.edu/sites/default/files/documents/rfmsu6-xdjtw/09.pdf
5. 10 U.S. Code § 162 – Comba ant commands: assigned forces; chain of command www.law.cornell.edu/uscode/text/10/162
6. H.R.3622 – Goldwater-Nichols Department of Defense Reorganization Act of 1986 https://www.congress.gov/bill/99th-congress/house-bill/3622
7. U.S. Army Thomas W. Spoehr https://www.heritage.org/military-strength/assessment-us-military-power/us-army

Zezva Liparteliani

PhD Candidate, Faculty of Humanities

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

What we should know about the Department of Defense and Armed Forces of the United States of America

Summary

This Article explains and analyzes the composition of the United States Armed Forces and relationship between the U.S. Department of Defense and its Armed Forces. The U.S. Department of Defense is the vast organi-

zation with the largest approximated budget and includes the Army, Navy, Air Force, Marine Corps, Space Force, and Coast Guard. Despite its organizational complexity, the existing structure proved to be very efficient and functional. Each branch has unique responsibilities but works collectively to ensure national defense; the Army is conducting land-based military operations; the Navy – Naval warfare and operations at sea; the Air Force – Aerial and space warfare, with the Space Force focusing specifically on space operations; the Marine Corps – Amphibious and expeditionary warfare, and the Coast Guard - Maritime safety, security, and stewardship. The article also distinguishes between the Reserve and National Guard roles. Each branch has a reserve component supporting active-duty forces, and the National Guard serves both state and federal governments, providing domestic support in times of emergency.

The primary mission of the U.S. Department of Defense is to provide military forces needed to deter war and protect the country's security. The department is headed by the Secretary of Defense, a civilian appointed by the President, who acts as the principal defense policy advisor and executes defense policies set by POTUS. With a robust budget, the DoD is responsible for military readiness, including funding personnel, operations, procurement, research, and development of defense technologies.

The article also describes the role of the U.S. Armed Forces Combatant and Functional Commands, and how effectively the U.S. maintains a significant presence worldwide through military bases, alliances like NATO, and partnerships to enhance collective security and respond to international crises. It examines the Department of Defense's and Armed Forces Strategic Guiding Documents and their impacts of Department of Defense and Armed forces main activities and operations.

This article seeks to provide accessible information for scholars and researchers. Understanding the structure of the US Defence system is important for developing functional and sustainable cooperation between the US and Georgian Armed Forces, as well as other partner countries. This article serves as an initial effort to address this topic.